შიდაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№7 (10.015)

12-19 მარტი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყარო უკრაინელი ხალხის გვერდით!



პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, მთელი საქართველოს მასშტაბით, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, 100 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი შეგროვდა.

ჰუმანიტარულ აქციაში აქტიურად ჩაერთო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიც. ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნეს სექტორის, საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენელთა ძალისხმევით უკრაინის დასახმარებლად პირველადი მოხმარების ნივთებისა და საკვები პროდუქტების შეძენა და მობილიზება განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან უამრავი ტანსაცმელი და 41 000 ლარის პროდუქტი მობილიზდა მეგობარი უკრაინელი ხალხის დასახმარებლად. ტვირთი უკრაინაში 11 მარტს გაიგზავნა.

პანიკიდან პანიკამდე - ანუ როგორ დავაცარიელეთ დახლები?

სასურსათო მაღაზიაში მეგობართან ერთად მივდივარ. მას 1 კილო შაქარი უნდა, მე 1 კილო ფქვილი. ყველაფერი გათვლილი გვაქვს, სად შეიძლება შედარებით იაფად პროდუქტის ყიდვა, სად ცოტა ძვირი ღირს და ა.შ. იმედიანად ვართ. თუმცა, იმედი იმდენად მყიფე რამაა, როგორც სჩანს, მის მიმართ ხანგრძლივი მოლოდინები არ უნდა გვქონდეს.

▶ მაღაზიაში შესვლისთანავე თვალში ხალხმრავლობა მხვდება. განსაკუთრებით კი პირველადი მოხმარების პროდუქტების დახლთან. გაოცებული ვარ, რადგან სულ რამდენიმე დღის წინ აქ ერთ ან ორ ადამიანს თუ შენიშნავდით. ხალხის ერთმანეთში გადაძახილი ყველაფერს ნათელს ჰფენს: „აღარც ფქვილია და აღარც შაქარი, აქაც ვერ მოვუსწარით“. მეგობარმა გაკვირვებით გადმომხედა. ჩვენმა გეგმამ ნელ-ნელა დაშლა დაიწყო. ტაქტიკურად გადავეწყვეთ და იმედი ისევ შევინარჩუნეთ, „სხვა მაღაზიებიცაა“ - თვალებით ვუთხარით ერთმანეთს. თუმცა, ეჭვის ჭიამ თავი მაინც ამოჰყო.

„დღეს შაქარი და ფქვილი აღარ გვექნება“ - ისმის კონსულტანტის ხმა და ხალხის გმინვამ ჩემამდეც მოაღწია, რომელსაც ზეთის ყიდვის იმედი ის ის იყო დამეკარგა, რადგან დახლი აქაც დაცარიელებული დამხვდა. ტაქტიკურმა გადაწყობამ გეზი იცვალა. არც მეგობარს შეხვდა 1 კილო შაქარი და არც მე ზეთი და ფქვილი. ასე გაგრძელდა ყველა მაღაზიაში, სადაც კი შეიძლებოდა ზემოთ აღნიშნული პროდუქტები გვეყიდა.

ერთ-ერთი მაღაზიის მოლარეს ვეკითხები:

-ასეთი ამბავი, როდიდან დაიწყო?

-მას შემდეგ რაც უკრაინამ რამდენიმე პროდუქტის ექსპორტი შეწყვიტა და ეს ინფორმაცია გავრცელდა, ხალხი ტომრებით ყიდულობს ყველაფერს - შაქარს, მარილს, ფქვილს, ბრინჯს, ზეთს ლიტრობით. დღევანდელი მარაგი უკვე ამოწურული გვაქვს და მცირე რაოდენობებითაც კი ველარ ვყიდით. დეფიციტი ჯერ-ჯერობით არ გვაქვს, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა პანიკა ხალხში, სამომავლოდ რა იქნება, ნამდვილად მიჭირს ამის თქმა.

ამ კითხვაზე პასუხი თითქმის ყველა სასურსათო მაღაზიაში ერთნაირია. მაღაზიების მეპატრონეებს ყოველ წუთს იმის გამეორება უწევთ, რომ აღარც ფქვილია, აღარც შაქარი და აღარც ზეთი. ხალხში პანიკაა, ანდაც პანიკის ავისმომასწავლებელი ქაოსი, რომელსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით. ამას ემატება ისიც, რომ ფასები თითქმის ყოველდღე იზრდება და ისეთ ნიშნულს აღწევს, შეუძლებელია ამ ფაქტის უკუგდება. რამდენიმე ადამიანს გავესაუბრე და ასეთი სურათი მივიღე:

ხ.ბ: „ტომრით არ მინდოდა შაქრის ყიდვა, უბრალოდ, 1 კილოგრამი შაქრისთვის შევედი მაღაზიაში, ვიფიქრე ზეთსაც ვიყიდი ბარემ-თქო, ისიც 1 ლიტრი მინდოდა, მაგრამ არც ერთი დამხვდა და არც მეორე. დახლები ცარიელია. გასაგებია, რომ მსოფლიოში შექმნილი ასეთი დაძაბული ფონის გამო, ხალხი პანიკაშია და სამომავლოდ ფიქრობს, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ უკონტროლო შესყიდვებით სხვას აზარალებენ? ვფიქრობ, ეს პანიკა უადგილოა და პირიქით, ხელოვნურად ქმნის დეფიციტს ბაზარზე“.

ლ.კ: „პურის ყიდვა მინდოდა, თან ვიფიქრე, ტკბილ ფუნთუშასაც გავაყოლებ თქო, მოხუცი ვარ მაინც, ცოტა ტკბილეულს ვყიდულობ ხოლმე, როცა მაქვს შესაძლებლობა. თონეში გამყიდველმა მითხრა რომ ვერ შეძლეს ფუნთუშის გამოცხობა, რადგან მთელს მუნიციპალიტეტში შაქარი ვერ იშოვნეს. გაგონილა ასეთი რამ? ეს ხომ არამარტო შაქრის, არამედ პურ-ფუნთუშეულის დეფიციტსაც გამოიწვევს? ასე გაგრძელება არ შეიძლება, სხვა ადამიანმა რა ქნას, ვისაც არც ტომრებით ყიდვის საშუალება აქვს და თვიდან თვემდე 1 კილო შაქარზეა დამოკიდებული?“.

თ.გ: „დახლები დაცარიელებული დამხვდა. მეგობარმა მთხოვა გამერკვია ტომარა შაქრის ფასი და 205 ლარი ღირდა. ასეთი ფასი შაქარზე მე ჯერ არასდროს მინახავს. ხელოვნურად შექმნილი დეფიციტია აბა რა არის? ხალხმა ერთმანეთის გატანა უნდა ვისწავლოთ, სხვანაირად ასეთ ქაოსსა და არეულ დროში როგორ უნდა გადავრჩეთ? არ ვიცი, უიმედობაა ირგვლივ“.

„ეს სასურსათო მაღაზიების „მზაკვრული“ გეგმაა ფასების მოსამატებლად და „ხელის მოსათბობად“ — „აღმართში“ დაგვეწია მოსახლეობის ახალი „ანალიზი“ შექმნილ სიტუაციაზე. მსგავსი საუბრების ფონზე, ჩაშლილი ტაქტიკური გეგმით, ცარიელი ხელებითა და მომავალი დღის იმედით წამოვედით მაღაზიებიდან. ვერც შაქარი ვიყიდეთ და ვერც ფქვილი. თუმცა, გამყიდველის გადმოძახილმა, მომავალი კვირიდან ყველაფერი შეივსებაო, პანიკას აყოლილი ხალხის მღელვარება, ალბათ, რამდენიმე დღით მაინც დააცხრო.

უკიდურესობების ხალხი ვხდებით ხოლმე ხანდახან ქართველები. ჯერ იყო და პანდემიის დასაწყისმა უმიზნოდ დააცარიელა დახლები, ახლა კი არარაციონალურმა შიშმა და გაურკვეველმა მოლოდინებმა მარაგების დეფიციტი შექმნა. ამის პარალელურად ჩნდება მცირე საწარმოების დახურვის რეალური საფრთხეც, რადგან შესაძლოა მათ ვერ გაუძლონ კომუნალური გადასახადებისა თუ პროდუქტების გაზრდილ ფასებს. პანიკიდან პანიკამდე დროს კი სასურველია ვიაზრებდეთ, რომ „გადაგვარჩენს“ არა პროდუქტების ხელოვნურად შექმნილი დეფიციტი, არამედ ერთმანეთის თანადგომა, ემპათიის უნარი და მომავალზე რაციონალურად ფიქრი.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

„ლარის კურსის სტაბილურობასთან დაკავშირებით ნამდვილად გვაქვს ოპტიმისტური პროგნოზი“

„ლარის კურსის სტაბილურობასთან დაკავშირებით, ნამდვილად გვაქვს ოპტიმისტური პროგნოზი“, – ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა განაცხადა.როგორც მან აღნიშნა, ქვეყანაში ვალუტის შემოდინების არხები მიმდინარე პერიოდში სტაბილურად მზარდია. „მომდევნო პერიოდშიც ვფიქრობთ, რომ შევინარჩუნებთ ამ არხებს იმ დონეზე, რომ ქვეყანაში ლარის კურსი იყოს სტაბილური. ჩვენ ბოლო დღეების განმავლობაში ვხედავთ, რომ გარკვეულწილად, შეიმჩნეოდა აჟიოტაჟური მდგომარეობა ლარის კურსთან მიმართებით, რაც გამომდინარეობს იმ მოლოდინებიდან, რაც უკავშირდება არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებას, კონკრეტულად, საომარ მოქმედებებს ჩვენს მეგობარ უკრაინაში. ეროვნული ვალუტის კურსთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნულ აჟიოტაჟს საფუძველი ნამდვილად არ გააჩნდა და ეს დასტურდება დღეს არსებული მდგომარეობით სავალუტო ბაზარზე. ვალუტის შემოდინების ყველა ის მიმართულება, რომელიც ქვეყანაში არსებობს, ფუნქციონირებს და მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ექსპორტის მიმართულება იანვარში 46%-მდე იყო გაზრდილი, ასევე, მზარდია ექსპორტი თებერვალში, წინასწარი ინფორმაციით მარტშიც. გარდა ექსპორტისა, ტურიზმმა აჩვენა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი აღდგენის ტემპი. იანვრის თვეში - 70%-ით აღდგა 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც რეკორდული იყო საქართველოსთვის. ასევე, მზარდია ფულადი გადმორიცხვები. შესაბამისად, ყველა ეს მიმართულება ხასიათდება სწრაფი აღდგენის ტემპით და სავალუტო შემოდინებებსაც ამ ეტაპისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღმავალი ტენდენცია აქვთ", - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა. მისი თქმით, შექმნილი რთული გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, მუშავდება სხვადასხვა სცენარი.

„ჩვენ ვამუშავებთ იმ ღონისძიებებსაც, რამაც შეიძლება ჩაანაცვლოს ან დამატებით შეინარჩუნოს ფულის შემოდინების ის არხები, რომლებიც იყო ქვეყანაში. ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ, ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მკვეთრი მერყეობის მოლოდინი ლარის კურსთან დაკავშირებით, მომდევნო პერიოდშიც არ გვაქვს", - აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა.

კორონავირუსის ვაქცინაციის წახალისების პროგრამა მარტის თვეშიც გაგრძელდება

კორონავირუსის ვაქცინაციის წახალისების პროგრამა მარტის თვეშიც გრძელდება. ამის შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, 200 - ლარიან ერთჯერად დანამატს ავტომატურად მიიღებს 50 წლის და მეტი ასაკის ყველა ის მოქალაქე, ვინც 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი დოზით აიცრება.

„ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირები „ბუსტერ“ დოზით აცრის შემთხვევაში 100 ლარს მიიღებენ. სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაქცინირებულ პირთა შესახებ ინფორმაცია, თვის განმავლობაში ორჯერ მიეწოდება და ინფორმაციის მიღებიდან მომდევნო 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს მოქალაქისთვის თანხის ჩარიცხვას. ერთჯერადი დანამატის ჩარიცხვა „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, მათსავე ანგარიშზე მოხდება. რაც შეეხება იმ მოქალაქეებს, რომელთა ასაკი საპენსიო ასაკს არ მიეკუთვნება, სოციალური მომსახურების სააგენტო, „ლიბერთი ბანკთან“ არსებული ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშებს თავად გაუხსნის.

ვაქცინაციისთვის ვიზიტის დაჯავშნა შესაძლებელია ელექტრონულ პორტალზე - https://booking.moh.gov.ge/

აცრა შესაძლებელია წინასწარი რეგისტრაციის გარეშეც. COVID 19-ის ვაქცინაციაზე რეგისტრაციასთან დაკავშირებული კონსულტაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ - 144-3 და 15 22-ს“, - ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჰააგის სასამართლოს პროკურორმა აგვისტოს ომის საქმეზე სამი პირის დაკავების ორდერის განაცხადი შეიტანა

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) პროკურორმა, კარიმ ხანმა აგვისტოს ომის საქმეზე სამი პირის დაკავების ორდერისთვის განაცხადი შეიტანა. კარიმ ხანის განცხადებით, აღნიშნული პირები არიან : გენერალ-ლეიტენანტი მიხაილ მინძაევი, რომელიც 2005-2008 წლებში „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ადმინისტრაციის ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრი იყო; ჰამლეტ გუჩმაზოვი, რომელიც აგვისტოს ომის დროს „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო „შინაგან საქმეთა სამინისტროს“ წინასწარი დაკავების დაწესებულების უფროსი იყო; დავით სანაკოევი, „სამხრეთ ოსეთის“ ე.წ. „პრეზიდენტის“ დე ფაქტო წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა საკითხებში, ასევე ცნობილი როგორც „ომგუდსმენი“ აგვისტოს ომის მოვლენების დროს.

„ჩემი ოფისის მიერ შეგროვებული და გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე, მაქვს დასაბუთებული საფუძველი ვივარაუდო, რომ აღნიშნულ სამ პირს ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას 2008 წლის 8-27 აგვისტოს პერიოდში საქართველოში, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და მის გარშემო ჩადენილი სამხედრო დანაშაულებისთვის: თავისუფლების უკანონო აღკვეთა, წამება, არაადამიანური მოპყრობა, პიროვნული ღირსების შეურაცხყოფა, მძევლების აყვანა და უკანონო გადაცემა“,- ნათქვამია კარიმ ხანის განცხადებაში.

მისივე ინფორმაციით, გამოძიებამ ასევე გამოავლინა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორის, ამჟამად გარდაცვლილი ვიაჩესლავ ბორისოვის სავარაუდო როლიც. "მიიჩნევენ, რომ მან განზრახ შეიტანა წვლილი ზოგიერთი ამ დანაშაულის განხორციელებაში",- აცხადებს კარიმ ხანი.

„მოვლენების დროს სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის უმრავლესობა საქართველოს იმ ტერიტორიაზე გადავიდა, რომელზედაც დავა არ მიმდინარეობდა. საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხრეთ ოსეთიდან გაძევებისთანავე, რუსულმა ჯარებმა და, პირველ რიგში, სამხრეთ ოსეთის ჯარებმა დაიწყეს ქართველი მშვიდობიანი მოქალაქეების, ძირითადად მოხუცებისა და ავადმყოფების დატყვევება, რომლებსაც არ შეეძლოთ, ან არ სურდათ დაეტოვებინათ სახლები. მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ამ ადამიანების უმეტესობა უკანონოდ იყო დატუსაღებული ანტისანიტარიულ და სახიფათო პირობებში, შეურაცხყოფას აყენებდნენ, სცემდნენ, აწამებდნენ და ამცირებდნენ,“- ნათქვამია კარიმ ხანის განცხადებაში.

8 მარტი მიულოცეს !

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა ქალთა საერთაშორისო დღე შეხვდა „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულების (ქ. დედოფლისწყაროს მრავალპროფილური კლინიკა) თანამშრომელ ქალბატონებს მიულოცეს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და ნუგზარ პაპიაშვილმა კლინიკის თანამშრომლებს კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი

წვლილისთვის მადლობა გადაუხადეს და ქალბატონებს ყვავილები და მადლობის სიგელები გადასცეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ყველა ქალბატონს გილოცავთ 8 მარტს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

სოფლის საერთო კრებები გრძელდება

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით სოფლის საერთო კრებები დღეს ზემო მაჩხაანში, მირზაანსა და არგოშიკში ჩატარდა.

პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების გამოსავლენად მოსახლეობას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები-დავით ფხოველიშვილი და მალხაზ მერაბიშვილი აღნიშნულ სოფლებში მერის წარმომადგენლებთან და საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან ერთად შეხვდნენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსებისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა 256 000 ლარს შეადგენს.

***

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის მიზნით სოფლის საერთო კრებები გამარჯვებაში, ოზაანსა და თავწყაროს დასახლებაშიც გაიმართა.

დასაფინანსებელი პროექტების გამოსავლენად ადგილობრივ მოსახლეობას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი შეხვდა.

მოსახლეობასთან შეხვედრები ხორნაბუჯში, სამრეკლოსა და ჭოეთშიც გაიმართება, რითაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოფლის საერთო კრებები დასრულდება

დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო

გაზეთ „შირაქის“ №6 ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო“. შეგახსენებთ, რომ სტატია ეძღვნებოდა სოციალურად დაუცველი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამის ამოქმედებას.



აღნიშნულ სტატიაში სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილების უფროსად მითითებული იყო თეა ბენაშვილი, რომლის მაგივრადაც უნდა ყოფილიყო ილია მათეშვილი, ტელ: 591 40 46 31. გაზეთი „შირაქი“ ბოდიშს უხდის მკითხველს შექმნილი უხერხულობის გამო.

შეგახსენებთ, რომ დასაქმების პროგრამაში ჩასართავად, ბენეფიციარებს შეუძლიათ მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი - მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №44;

ტელ: (0 356) 22 25 20;

რაიონის სტატისტიკური მონაცემები:

მოსახლეობის რაოდენობა - 21,100

პენსიის პაკეტის მიმღებთა რაოდენობა - 5,185

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა - 832

საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა -3,954

„პროდუქციის დეფიციტი არ იქნება, თუმცა, გარდაუვალია ფასების ზრდა“

„საქართველოში, პროდუქციის დეფიციტი არ იქნება, თუმცა გარდაუვალია ფასების ზრდა - ამის შესახებ ,,ბიზნესპრესნიუსს“ ბიზნეს დისტრიბუტორთა ასოციაციის პრეზიდენტმა, ივა ჭყონიამ განუცხადა.

მისი თქმით, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ბაზარს ახლა ყველაზე მეტად პანიკური შესყიდვები აზარალებს. ჭყონია ამბობს, რომ რუსეთის ან უკრაინის მხრიდან ნებისმიერი პროდუქციის შეზღუდვის პირობებში, შესაძლებელი იქნება სხვა ბაზრებზე გადაწყობა.

„ამ ეტაპზე რუსეთში ოპერირებული უცხოური კომპანიების პრობლემების შესახებ ინფორმაციას არ ვფლობთ, რომ რომელიმეს შეეზღუდა მუშაობა და ჩვენ ვერ შევძლებთ მათგან პროდუქციის მიღებას. თუ ეს მოხდა, თავად საერთაშორისო კომპანიების მიერ მოხდება ბაზრის ჩანაცვლებაც.

საუბარია, მოწოდების ფასზე. რუსეთიდან ტრანსპორტირება 2 000-დან 2 500 დოლარამდე ჯდება, მაშინ, როცა ევროპის ყველაზე ახლო ქვეყნიდან, პოლონეთიდან 4 000 ევრო ღირს. წარმოიდგინეთ, რა ძვირია ეს ყველაფერი.

ახლა ბაზრისთვის მთავარია, არ მოხდეს პანიკური შესყიდვები. პროდუქტის დეფიციტი არ იქნება, თუმცა გარდაუვალია ფასების ზრდა. ვინმეს თუ ამის შიში აქვს და იმიტომ იმარაგებს, მინდა გაგახსენოთ, რომ მთელი ეს წლებია, პროცესი პერმანენტულად მიდის. ცხადია, ხვალ რაღაც უფრო ძვირი იქნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იმდენი მარაგი გავაკეთოთ, ხელოვნური დეფიციტი შეიქმნას. გარკვეული დეფიციტი მოწოდებასთან დაკავშირებით იყო, მაგრამ ხდება გადალაგება, როცა შემოდინება მოხდება შედარებით უფრო დაიწევს ფასები.

ყველაზე ცუდი ფაქტორი რაც არის, მზესუმზირის ზეთის ნაწილია, რომლის ძირითად იმპორტიორები უკრაინა და რუსეთი იყვნენ. ეს შეიძლება დღეს არ აისახოს ბაზარზე და იმედია, ომიც ძალიან მალე დამთავრდება, მაგრამ წარმოიდგინეთ გრძელვადიან პერსპექტივაში, უკრაინაში როდის აღდგება ქარხნები, რომ მზესუმზირის ზეთი აწარმოონ ან მზესუმზირა დათესონ? ასე რომ, აქ დროებითი გაძვირება მოსალოდნელია, სანამ, შემდეგ ისევ მოხდება აღდგენის პროცესი.

მკაფიოდ ვამბობ, როგორც პანდემიის დროს არ უგრძვნია მოსახლეობას დეფიციტი, ისე არის და იქნება ახლაც, ასე რომ, ძალიან გთხოვთ, ნუ შევქმნით ხელოვნურ პანიკას. კოვიდის პირველი ტალღისასაც ვრცელდებოდა ფოტოები, სადაც ვხედავდით, რომ დახლი იყო დაცარიელებული, სინამდვილეში კი, ერთი, კონკრეტული ბრენდი არ იდო და არა პროდუქტი. ასეა ახლაც, შეფუთული შაქარი არ არის, თუმცა ასაწონი კვლავ ჩვეულებრივ იყიდება, ასე რომ, პანიკის საფუძველი არ არსებობს“, - განაცხადა ჭყონიამ. მისი თქმით, დღეს, მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრებთან სასურსათო უსაფრთხოების საკითხზე შეხვედრა გაიმართა. ,,ბიზნესპრესნიუსის“ კითხვაზე, პანდემიის პერიოდის მსგავსად, განიხილება თუ არა სუბსიდირების მექანიზმის ამოქმედება, ჭყონია აცხადებს, რომ ეს არამართებული და არასწორი იქნება. საუბარი შეიძლება მხოლოდ საგადასახადო შეღავათებზე იყოს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია მსხვილი სავაჭრო ქსელების და სურსათისა და პირველადი მოხმარების პროდუქციის საქართველოში იმპორტის განმახორციელებელი კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა. უწყების ინფორმაციით, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ უმნიშვნელოვანესია, სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქციის სტაბილური მიწოდების შენარჩუნების პარალელურად, კომპანიებმა სოციალური პასუხისმგებლობით იმოქმედონ, რათა არ მოხდეს ფასების უსაფუძვლო მატება.

„დღეს არსებულ ვითარებაში, მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოს მხრიდან საჭირო მიმართულებების მხარდაჭერა, ასევე ბიზნესისგან განსაკუთრებული პასუხისმგებლობა. იმპორტიორებისა და სავაჭრო ქსელების წარმომადგენლებისგან მივიღეთ ინფორმაცია არსებული მდგომარეობის შესახებ; სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მარაგების მხრივ არანაირი დეფიციტი არ არსებობს. შეხვედრაზე შევთანხმდით, რომ მაქსიმალურ კოორდინაციაში ვიმუშავებთ იმპორტიორებთან და მიმწოდებლებთან“, - აღნიშნა ოთარ შამუგიამ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ 1-ელი აპრილიდან ქარხანა „აგარის

შაქარი“ სრული დატვირთვით განაახლებს მუშაობას და ბაზარზე შაქრის შეუფერხებელი მიწოდება უზრუნველყოფილი იქნება.

„დღევანდელ დღეს პანიკის საფუძველი არ არსებობს. ჩვენ გვაქვს საკმარისი მარაგები. პირველი აპრილიდან ქარხანა „აგარის შაქარი“ სრულად დაიტვირთება. შესაბამისად, ადგილზე მიწოდება მთელი ქვეყნის მასშტაბით იქნება შესაძლებელი“, - განაცხადა კომპანიის „აგარის შაქარი“ წარმომადგენელმა, ნიკოლოზ ნათბილაძემ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები ქვეყანაში სურსათის შეუფერხებელი მიწოდებისა და მარაგების შევსების მუდმივ მონიტორინგს ახორციელებენ, ასევე, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მსხვილი სავაჭრო ქსელების და სურსათისა და პირველადი მოხმარების პროდუქციის საქართველოში იმპორტის განმახორციელებელი კომპანიების წარმომადგენლებთან კოორდინირებული მუშაობა.

ინფორმაციისთვის, დღეს, უკრაინის მთავრობამ ჭვავის, ქერის, წიწიბურას, ფეტვის, შაქრის, მარილისა და ხორცის ექსპორტი მიმდინარე წლის ბოლომდე აკრძალა. ამასთან, რუსული მედიით ცნობილი ხდება, რომ ვლადიმერ პუტინმა გასცა ბრძანება, რომელიც 2022 წელს რუსეთიდან გარკვეული პროდუქტებისა და ნედლეულის ექსპორტის და იმპორტის შეზღუდვას ან აკრძალვას გულისხმობს. ამ პროდუქტების სია რუსეთის მთავრობამ უნდა განსაზღვროს.

გასულ წელს უკრაინიდან ცალკე ჭვავის იმპორტი არ განხორციელებულა, თუმცა ქვეყანაში შემოვიდა - 128.11 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 371.85 ტონა ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი; წიწიბურას, ფეტვის და სხვა მარცვლეულის იმპორტმა 8.32 ტონა შეადგინა, რაც ღირებულებით ნაწილში - 46.08 ათასი აშშ დოლარია; შაქრის იმპორტმა 41,79 ტონა და 76,49 ათასი დოლარი შეადგინა; ამასთან, 2021 წელს ქვეყანაში შემოვიდა 1 278 740 აშშ დოლარის ღირებულების 10 069 ტონა მარილი; რაც შეეხება ხორცს, გასულ წელს უკრაინიდან საქართველოში შემოვიდა 88,05 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 26 ტონა ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ახალი ან გაცივებული, 7 476 570 დოლარის 2 274 ტონა გაყინული ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, და 476,23 ათასი დოლარის ღირებულების 189 ტონა ხორცი ღორის ახალი, გაცივებული ან გაყინული.

საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი მკვეთრად იზრდება

დიდი ბრიტანეთი და აშშ რუსულ ნავთობპროდუქტებზე უარს ამბობენ და მათ იმპორტს წყვეტენ, ევროკავშირმა კი დაანონსა, რომ რუსული ბუნებრივი აირის შესყიდვებს წლის ბოლომდე 2/3-ით შეამცირებს. რა გადაწყვეტილებას მიიღებენ მსოფლიოს სხვა ქვეყნები და მათ შორის საქართველო, სადაც იმპორტირებული ბენზინის და დიზელის 19%-ზე მეტი რუსეთზე მოდის, ჯერჯერობით უცნობია.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის მონაცემებით, 2021 წლის იანვარ-დეკემბერში საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტმა შეადგინა 1 148 705 ტონა, რაც 42,7 ათასი ტონით ანუ 3,9%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან (1 105 995 ტონა) შედარებით და 52,7 ათასი ტონით ანუ 4,8%-ით პანდემიამდე არსებული 2019 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან (1 096 018 ტონა) შედარებით.

ამასთან, გასული წლის განმავლობაში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა თურქმენეთიდან - 244 601 ტონა, რაც მთელი იმპორტის 21,3%-ს შეადგენს. შემდეგ მოდიან: რუსეთი - 221 181 ტონა - 19,3%; აზერბაიჯანი - 215 872 ტონა - 18,8%; რუმინეთი - 204 638 ტონა - 17,8%; ბულგარეთი - 167 708 ტონა - 14,6%; საბერძნეთი - 37 223 ტონა - 3,2%, თურქეთი - 33 021 ტონა (2,9%), იტალია - 14 948 ტონა (1,3), ყაზახეთი - 2 824 ტონა (0,2%) და სხვ.

რაც შეეხება მთლიანად ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, 2021 წელს საქართველოში იმპორტმა შეადგინა 1 272 214 ტონა (822,573 მლნ დოლარი), სადაც რუსეთის წილი იყო 17,6%, კერძოდ, 2021 წელს საქართველომ რუსეთში 224 705 ტონა (134,615 მლნ დოლარი) ნავთობი და ნავთობპროდუქტები შეიძინა.

რაც შეეხება იმპორტიორი ქვეყნების ხუთეულს, ასე გამოიყურება:

***თურქმენეთი - 304 193 ტონა (191,810 მლნ დოლარი)**

***აზერბაიჯანი - 228 491 ტონა (128,477 მლნ აშშ დოლარი)**

***რუსეთი - 224 705 ტონა (134,615 მლნ აშშ დოლარი)**

***რუმინეთი - 206 090 ტონა (133,792 მლნ აშშ დოლარი)**



***ბულგარეთი - 167 814 ტონა (113,993 მლნ აშშ დოლარი).**

„დროით დინამიკურ მწკრივში ექსტრაპოლაციის შედეგად საწვავი გაძვირდება 50 თეთრით და ლარი კვლავ გაუფასურდება 40 თეთრით,“-ამის შესახებ ეკონომისტი ოთო აბესაძე „ფეისბუქის“ პირად გვერდზე წერს.

მის პოსტს უცვლელად გთავაზობთ: „საწვავი ყველაზე “გაუბედურებულ” და არაბრენდირებულ “კალონკა”-ზე ღირს 3.4 ლარი, დოლარის კურსი 3.47 ლარია. დროით დინამიკურ მწკრივში ექსტრაპოლაციის შედეგად საწვავი გაძვირდება 50 თეთრით და ლარი კვლავ გაუფასურდება 40 თეთრით. გააუქმეთ აქციზის გადასახადი საწვავზე და გაუშვით დღგ მცურავ რეჟიმზე (დასვით 10% ზე).

-ეს შეაჩერებს ინფლაციას;

-ეს შეაჩერებს ლარის გაუფასურებას;

-ეს გააიაფებს საწვავს 85 თეთრით;

-ეს მისცემს ბიზნესს ახალი ბაზრების მოძიების საშუალებას;

-ეს როგორც მინიმუმ, შეაჩერებს ფასების ზრდას.

ეს ყველაფერი მოკლევადიან პერიოდში (6 თვე) და ამ პერიოდში აგრესიულად იმუშავეთ, რომ მიიღოთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. ეს სტატუსი მოგვცემს ახალი ბაზრების, ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების საშუალებას, რომელიც ავტომატურად დაასტაბილურებს ზემოთაღნიშნულ პრობლემებს. შემოიჭირეთ ქამრები. ამ რეფორმით დაკარგავს ბიუჯეტი 4 მილიარდ ლარამდე და ეს კარგია. ნაკლებ ლარს დახარჯავთ ამ გიჟური ინფლაციის ფონზე. გაანახევრეთ ადმინისტრაციული ხარჯი და ზემოდან ხარჯვვით ნაწილს მოაკელით 2 მილიარდი ლარი,“- წერს აბესაძე.

ვისოლ ჯგუფის გენერალური დირექტორი, ვასილ ხორავა საქართველოში საწვავის ფასის ეტაპობრივად, 20-25 თეთრით ზრდას ელოდება, რის მიზეზადაც საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის გაძვირებას ასახელებს. მან ამის შესახებ ანალიტიკაში ისაუბრა.

ხორავას თქმით, მიუხედავად საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის მკვეთრი გაძვირებისა, კომპანია ამ ეტაპზე ფასის შენარჩუნებას მარაგების ხარჯზე ახერხებს, თუმცა საწვავზე ფასების ზრდა თებერვლის შუა რიცხვებიდან გარდაუვალი იქნება.

„ვცდილობთ, არსებული მარაგებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ფასები, თუმცა, ეს მარაგები დროის გარკვეულ მონაკვეთში ამოიწურება და საერთაშორისო ბაზარზე ასეთი ფასის ნიშნულის პირობებში ჩვენთვის გარდაუვალი იქნება [საწვავზე] ფასის მომატება, რამდენადაც მტკივნეული არ უნდა იყოს. დღეისთვის ჩვენ ვინარჩუნებთ ფასების სტაბილურობას. 100-150 დოლარით ფასის ზრდა ეს მინიმუმ 20-25 თეთრიანი სხვაობა არის ლიტრზე, რომელიც გარკვეულწილად გაიზრდება, თუმცა, ეს არ მოხდება ერთ დღეში, ეს მოხდება ეტაპობრივად და იმედს ვიტოვებთ, რომ ამ პერიოდში საერთაშორისო ბაზარი შემობრუნდება და ზრდის ტრენდი” – თქვა ვასილ ხორავამ.

5 თებერვლის მონაცემებით, საქართველოში ბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებზე სუპერის ტიპის საწვავი, საშუალოდ, 3,36 ლარი ღირს, ხოლო პრემიუმის ტიპის საწვავის საშუალო ღირებულება 3,20 ლარია.

საქსტატის მონაცემებით, იანვრის მდგომარეობით, ბენზინი 10 ყველაზე მეტად გაძვირებულ პროდუქტს შორის შედის. ბოლო ერთი წლის ჭრილში, ბენზინი 37,1%-ით, ხოლო დიზელი 32,2%-ით არის გაძვირებული.

3 თებერვლის ვაჭრობის შედეგებით, ლონდონში Inter Continental Exchange Futures Europe-ze (ICE Futures Europe)-Brent ტიპის ნავთობის ფასმა 91,11 დოლარი/ბარელზე შეადგინა. იმავე სავაჭრო დღის შედეგებით, ნიუ-იორკში York Mercantile Exchange-ze (NYMEX) - Light Sweet ტიპის ნავთობის ფასი ბარელზე 90,27 დოლარია. აღსანიშნავია, რომ ნავთობის საერთაშორისო ფასი 7-წლიან მაქსიმუმზეა. ექსპერტთა ნაწილი ნავთობის ფასის კიდევ უფრო ზრდას ელოდება.

გარდა საერთაშორისო ფასებისა, საქართველოში საწვავის ფასის დადგენაში მნიშვნელოვან როლს სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული გადასახადები თამაშობს. საუბარია აქციზისა და დამატებული ღირებულების გადასახადზე, რომელიც, რეალურად, საწვავის ფასს აძვირებს. როგორც ცნობილია, 2017 წლის დასაწყისში საწვავზე აქციზურმა გადასახადმა მოიმატა – 1 ტონა ბენზინის აქციზური გადასახადი გაორმაგდა და 250-დან 500 ლარამდე გაძვირდა. ექსპერტების შეფასებით, საწვავის ფასის დარეგულირებისთვის მცურავი აქციზის შემოღება, ან აღნიშნულ პროდუქტზე ამ გადასახადის გაუქმებაა.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც საქართველოში საწვავის ღირებულებაზე მოქმედებს ლარის გაცვლითი კურსია. იმის გამო, რომ საწვავი საქართველოში 100%-ით იმპორტირდება. ქვეყანაში საწვავზე ფასების ზრდა მაინც გარდაუვალი იქნება.

მე ვიცი ის...

„მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი“ - ეს ერთი შეხედვით უცნაური აზრი გენიალურ ბერძენ ფილოსოფოს სოკრატეს ეკუთვნის. სოკრატეს აზრით, ნამდვილი, ჭეშმარიტი ცოდნა არის ცოდნის ცოდნა, რაც ადამიანის მიერ სრულად ვერ განხორციელდება, ეს მხოლოდ ღმერთს შეძლია!

კარგი იქნებოდა ამ აზრს იზიარებდეს დღეს ჩვენი საზოგადოება, მაგრამ...დაინყო ეს ჰიბრიდული (ჰიბრიდულ ომს უწოდებენ სამხედრო თუ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად დიპლომატიური, სამხედრო, ეკონომიკური, საინფორმაციო საშუალებებისა და კონვენციური, არარეგულარული (პარტიზანული და ასიმეტრიული), ტერორიზმის, კრიმინალური და კიბერ ბრძოლის მეთოდების ერთობლივ, კოორდინირებულ, ღია და ფარულ გამოყენებას) ომი თუ არა, ყველა პოლიტიკოსი და ექსპერტი გახდა, ყველამ ყველაფერი იცის, თამამად „აფრქვევს“ საკუთარ აზრს. არავინ დაგიდევთ მიღებული ინფორმაციის სისწორეს, მთავარია - მე ასე მჯერა და ე.ი ეს სიმართლეა, მე ყველაფერი ვიცი, მე შენზე უკეთესად მესმის და ა.შ. არავინ ერიდება ერთმანეთის შეურაცხყოფას, დამცირებას და გულისტკენას. ისედაც ერთმანეთს გადაკიდებული ქართველები კიდევ უფრო ამძაფრებენ სიტუციას ქვეყნის შიგნით. ეს იმ დროს, როდესაც კიბერომია გაჩაღებული. ინფორმაცია მაღალი საფრთხის მატარებლად იქცა. ის იაფი და უნივერსალურია, დაფარვის სერიოზული არეალი აქვს, უკონტროლოდ მოგზაურობს, ხშირად უხარისხო და ტყუილზე დაფუძნებული, ნებართვის გარეშე კვეთს სახელმწიფოთა საზღვრებს და ყველასთვის ხელმისაწვდომია. შეუძლებელია ამ მოზღვავებულ ინფორმაციულ ნაკადში უბრალო მოკვდავმა მარტივად გაარჩიოს ტყუილ-მართალი.

პროპაგანდა და საინფორმაციო ომი კვლავ აქტუალური საკითხია როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო ურთიერთობებში. დეზინფორმაციისა და პროპაგანდის თემა სულ უფრო პოპულარული ხდება და, მე, პირადად, უფრო და უფრო ვრწმუნდები რომ ,,მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი.“ და მახსენდება ერთი ასეთი ამონარიდი ისტორიიდან: ერთ დღეს მოხუცი, ბრძენი სოკრატე ქუჩას მიუყვებოდა, როცა მოულოდნელად მას კაცი გამოეკიდა და საუბარი დაუწყო:

-სოკრატე, მინდა გითხრა რაღაც შენი მეგობრის შესახებ, რომელმაც...

-მოითმინეთ!- შეაწყვეტინა სოკრატემ, ე.ი. გინდათ მომიყვეთ ამბავი, მაგრამ გაატარეთ თუ არა ეს ამბავი სამ საცერში?

-სამ საცერში? რას ნიშნავს სამი საცერი?

-მოდი, ვცადოთ ავხსნათ, - თქვა სოკრატემ. პირველი საცერი, ესაა სიმართლის საცერი. შეამოწმეთ და გამოიკვლიეთ, არის თუ არა მართალი ის ამბავი რაც ჩემთვის უნდა მოგეყოლათ?- ჰკითხა სოკრატემ.

-აბა რა გითხრათ, არა, რადგან ეს ამბავი ეს-ესაა რაც გავიგე, - უპასუხა კაცმა.

-აჰა, გასაგებია. მაშ, მეორე საცერი თუ გამოიყენეთ, სიკეთის საცერი? ანუ, რაც უნდა მითხრა, რაიმე კარგის შესახებაა?-იკითხა სოკრატემ.

-ჰმ, არა, პირიქით, ცუდი რამაა - უთხრა კაცმა.

-მოდი ახლა მესამე საცერი გამოვიყენოთ. არის კი საჭირო მითხრათ ის ამბავი, რისი თქმის გულისთვისაც ასე აღგზნებული გამომეკიდეთ?-ბოლო კითხვა დაუსვა სოკრატემ ამ კაცს.

-არა, არ არის საჭირო,-უპასუხა მამაკაცმა.

-კარგი, - თქვა სოკრატემ ღიმილით: თუ ამბავი, რომელიც ჩემთვის უნდა მოგეყოლათ არაა მართალი, კარგი, ანდა საჭირო, მაშინ, უბრალოდ, დაივიწყეთ ის და აღარ შემაწუხოთ ამით.

ზოგჯერ მგონია, რომ აზრი არაფერს აქვს. ამ ციცქნა პლანეტაზე, რომელიც მილიონობით წელია არარაში ბრუნავს, ტკივილით ვიბადებით, ვიზრდებით, ვიბრძვით, ვავადმყოფობთ, ვიტანჯებით, ვტანჯავთ, ვყვირით, ვკვდებით, კვდებიან და, ამ დროს, იბადებიან სხვები, რათა ეს უსარგებლო კომედია ხელახლა წამოიწყონ... ჩვენი ცხოვრება მართლაც უცნობ კივილთა სერიაა გულგრილ ვარსკვლავთა უდაბნოში?

ერნესტო საბატო

მგონია, ეს ისტორიული ამონარიდი დაფიქრებად ღირს. ვიდრე ჩვენს თავში რამე „დიდებული“ აზრი მომწიფდება და თავს ვალდებულად მივიჩნევთ, რომ ჩვენი „სიბრძნე“ სხვებს მოვახვიოთ თავს, იქნებ ჯობდეს „სამ საცერში“ გავატაროთ ჩვენი ნააზრევი? და გვახსოვდეს, რომ ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით...!

ვართ თუ არა ქართველები გადაშენების პირას ?!

ყველაზე არაჰუმანური და მტკივნეული პროგნოზი, რაც ოდესმე გაგვიგია, იყო გაეროს 2014 წელს გაკეთებული პროგნოზი საქართველოს დემოგრაფიასთან მიმართებაში, სადაც ეწერა, რომ საქართველოს მოსახლეობა 2050 წლისთვის 3, 4, ხოლო 2100 წლისთვის 2, 4 მილიონი იქნებოდა.

ჯერ ერთი, გაეროში ძალიან კარგად იციან, რას ნიშნავს მეცნიერული ტერმინი - „თვითაღსრულებადი წინასწარმეტყველება”. ესაა ფენომენი, როდესაც რწმენა ქმნის რეალობას. ეს ტერმინი 1948 წელს გამოიყენა რობერტ მერტონმა, რომელმაც შექმნა თეორია: „თუ ადამიანი მოიაზრებს სიტუაციას როგორც რეალურს, შედეგად ის გახდება კიდეც რეალური“. ფენომენს, რომლის დროსაც ერთი ადამიანის მოლოდინი მეორის ქცევის მიმართ მოქმედებს, როგორც თვითაღსრულებადი წინასწარმეტყველება, რობერტ როზენტალმა პიგმალიონის ეფექტი უწოდა. ტერმინი ჯორჯ ბერნარდ შოუს პიესიდან მომდინარეობს და გამოიყენება იმ მოვლენის აღსაწერად, როდესაც წინასწარმეტყველება პირდაპირ ან ირიბ გავლენას ახდენს რეალობაზე და ცვლის მას იმგვარად, რომ საბოლოოდ ეს წინასწარმეტყველება ხორციელდება. მეორეც, ამ პროგნოზის მერე სულ ვფიქრობდი, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რა მოვლენას უნდა შევჯახებოდით, რომ მსოფლიო მოსახლეობის მზარდი ტემპების ფონზე საქართველოში 1 მილიონით შემცირებულიყო მოსახლეობა.

პანდემიები და მსგავსი მსოფლიო მასშტაბის გამოწვევები ნაკლებად შეიცავს საფრთხეს დიდი ერების გაქრობისთვის, რადგან ისინი ისედაც და ასედაც მრავალრიცხოვანნი არიან, მაგრამ ჩვენნაირი მცირე ერისთვის ის ნამდვილად დიდი საფრთხის შემცველია... თან ჩვენნაირი უპასუხისმგებლო ერისთვის, რომელსაც მისი ეროვნული სიჯიუტიდან გამომდინარე, უჭირს კანონმორჩილება. ვინც პანდემიას გადაურჩება, ისინი ერთმანეთს რომ „დაჭამენ“, ეს კიდევ ცალკე ამბავია... მით უარესი, თუ გაეროს პროგნოზში მოსალოდნელი პანდემიების გარეშე გამოითვალა საქართველოში მოსახლეობის სავარაუდო რიცხვი 2050 წლისთვის. მაშინ მის პროგნოზს კიდევ გამოაკელით კოვიდს შეწირული ადამიანების საერთო რიცხვი. სულ მთლად კატასტროფულ ციფრებს მივიღებთ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მკვდარი ერების ცნებაც არსებობს. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საზოგადოება ყველა მათგანს პატივს სათანადოდ მიაგებს... თუმცა, იგივე საზოგადოება დაძინებული ერების მიმართ ზედმიწევნით კრიტიკულიცაა: პოეტი და საზოგადოება, რომლებიც ერს მძინარეს უწოდებენ, მას ფაქტობრივად ამათრახებენ. თუმცა, სიკვდილს მაინც ძილი სჯობს, რადგან ყოველი დაძინებული ოდესმე იღვიძებს. უნიკალური ვითარებაა: ერთდროულად შემაშფოთებელი და იმედის მომგვრელიც კი.

გვერდი მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

ბირთვული ომი და მსოფლიო საზოგადოება

თანამედროვე სამყაროში, სადაც უმაღლეს დონემდეა განვითარებული დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებები, სადაც ადამიანთა უფლებებს და მათი სიცოცხლის ხელშეუხებლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, სახელმწიფოები ომობენ და იბრძვიან ერთმანეთში, ისე,რომ ,არ ითვალისწინებენ იმ მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს, რომელიც მათ პირად ინტერესს ეწირება. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოები ფლობენ ბირთვულ იარაღს და ზოგიერთი მათგანი დღემდე აბრძოლებს მის შექმნაზე მუშაობას , აკრძალვის მიუხედავად, უდიდესი საფრთხის წინაშე აყენებს მსოფლიოს, რადგანაც ერთ დღეს შეიძლება დარღვეულ იქნას ყველა ის შეთანხმება, რაც ბირთვულ გაუვრცელებლობას ეხება.

თუმცა, XXI საუკუნეში განიარაღება საყოველთაოდ შეუქცევადი პროცესი არ გამხდარა. მთელი რიგი სახელმწიფოები არათუ უარს ამბობენ იარაღზე, არამედ მნიშვნელოვან ძალისხმევასაც მიმართავენ მისი სრულყოფისა და მარაგის ზრდისათვის. შედეგად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლს, რაც მიმართულია ჯარების და შეიარაღების რაოდენობის შემცირებისკენ, შეთანხმების, ნდობის ამაღლებისკენ და საერთაშორისო ურთიერთობის სტაბილურობის განმტკიცებისკენ. ბირთვული იარაღით დაინტერესება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში თითქმის ერთდროულად დაიწყო, რაც დიდი საფრთხის შემცველი აღმოჩნდა. ბირთვული იარაღის ეს იყო ძლიერი ბერკეტი, რომელიც ნებისმიერ დროს შეეძლოთ გამოეყენებინათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად, რაც ძალიან დიდ პრობლემას გამოიწვევდა და მომავალ განვითარებასაც ხელს შეუშლიდა. გაეროს წარმომადგენელმა განიარაღების საკითხებში, იზუმი ნაკამიცუმ ჟენევაში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა 2020-ის შეთანხმების ფარგლებში, მეორე მოსამზადებელი კონფერენციის გახსნისას განაცხადა, რომ ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე მსოფლიოში იზრდება. მისი თქმით, მსოფლიოში გეოპოლიტიკური მდგომარეობა უარესდება, ხოლო კოლექტიური უსაფრთხოების სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმებები ირღვევა.

რა არის ბირთბული იარაღი?

ბირთული იარაღი ფეთქებადი მოწყობილობაა, რომელშიც ენერგიის წყაროს წარმოადგენს ბირთვული რეაქცია. ეს რეაქცია იყოფა ორ კლასად:

1. ატომის ბირთვების დაყოფა - ამ კლასში გამოიყენება მძიმე ელემენტის ბირთვის გახლეჩის ეფექტი, რის შემდეგაც წარმოიქმნება ორი შედარებით მსუბუქი ელემენტის ბირთვი. მძიმე ელემენტებად, როგორც წესი გამოიყენება ურანი და პლუტონიუმი. ბირთვული რეაქციის ეს კლასი ეყრდნობა ე.წ. მასის დეფიციტის პრინციპს. ეს პრინციპი აღწერა ალბერტ აინშტაინმა ფარდობითობის სპეციალურ თეორიაში. იგი გულისხმობს შემდეგს: ატომის ბირთვის შემადგენელი ნაწილაკების ენერგია, როცა ისინი ბირთვული ველის ზემოქმედებით ერთმანეთთან იმყოფებიან ბმულ მდგომარეობაში უფრო ნაკლებია, ვიდრე ამ ნაწილაკების ენერგიების ჯამი, როცა ისინი იმყოფებიან თავისუფალ, არა ბმულ მდგომარეობაში.

2. ატომის ბირთვების სინთეზი - ამ კლასს თერმობირთვული რეაქცია ჰქვია და მასში გამოიყენება მსუბუქი ელემენტის ბირთვების სინთეზის ეფექტი, რის შემდეგაც წარმოიქმნება ერთი შედარებით მძიმე ელემენტის ბირთვი. მსუბუქ ელემენტად გამოიყენება წყალბადის ბირთვი. ეს კლასიც ეყრდნობა მასის დეფიციტის პრინციპს. ამ რეაქციაში გამოიყენება წყალბადის იზოტოპები, დეიტერიუმი - „მძიმე წყალი“ ან ტრიტიუმი - „ზემძიმე წყალი“. წყალბადის ბირთვი ძირითადად წარმოადგენს ერთ ცალ პროტონს. მისი იზოტოპი დეიტერიუმი არის ერთი პროტონის და ერთი ნეიტრონის ბმა. წყალბადის იზოტოპი ტრიტიუმი არის ერთი ცალი პროტონის და ორი ნეიტრონის ბმა. ეს იზოტოპები იშვიათად გვხვდება ბუნებაში და მათი გარკვეული რაოდენობის მიღება ურთულესი ტექნოლოგიური საკითხია.

როგორ შეიქმნა ბირთვული იარაღი?

ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობა დაიწყო მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში. ამ სამუშაოებს საფუძვლად დაედო გასული საუკუნის დასაწყისში მომხდარი მთელი რიგი უდიდესი აღმოჩენები ფიზიკაში. ამ აღმოჩენებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ალბერტ აინშტაინის მიერ ნაჩვენები „მასის დეფიციტი“, რაც გახდა ბირთვული იარაღის თეორიული საფუძველი. თუმცა, გარდა ამისა, იყო სხვა უმნიშვნელოვანესი აღმოჩენებიც, მაგ. ერნესტ რეზერფორდის ატომის მოდელი (1911 წელი) და სხვა. ბირთვული იარაღის შექმნის პრაქტიკული საფუძველი გახდა დიდი გერმანელი ფიზიკოსის, ოტო ჰანის მიერ 1938 წლის 17 დეკემბერს, ატომის ბირთვის გახლეჩა. სამართლიანობის გულისთვის უნდა ითქვას, რომ

ოტო ჰანთან ერთად სამუშაოებში მონაწილეობდა ფრიც შტრასმანი და ლიზა მეიტნერი. ეს უკანასკნელი, ლიზა მეიტნერი, იყო ებრაელი და იგი შემთხვევით გადაურჩა საკონცენტრაციო ბანაკს, მან თავისი კოლეგების, განსაკუთრებით ოტო ჰანის ძალისხმევით მოახერხა გაქცევა შვედეთში. ბოლო, დაუდასტურებელი ინფორმაციით, ატომის ბირთვის გახლეჩვაში, მისი დამსახურება უფრო მეტი იყო, ვიდრე ოტო ჰანის. ამავე პერიოდში, გამოქვეყნდა მთელი რიგი თეორიული კვლევების შედეგები, ექსპერიმენტების მასალები. ატომური იარაღის შექმნა რეალობად იქცა. 1941 წლის სექტემბერში გერმანიამ დაიწყო პროექტი „ურანი“. პროექტს ხელმძღვანელობდა გენიალური გერმანელი ფიზიკოსი, კვანტური მექანიკის ფუძემდებელი - ვერნერ ჰაიზენბერგი. დასაწყისში, პროექტი ძალიან წარმატებულად მიდიოდა წინ, მაგრამ ამ პროექტის შესახებ მალევე შეიტყო მოკავშირეთა დაზვერვამ. ამის შემდეგ მოკავშირეები მუდმივად და ენერგიულად უშლიდნენ ხელს პროექტის მიმდინარეობას. ათასობით ბომბდამშენის, დივერსიული ჯგუფების, ადგილობრივი იატაკქვეშეთის, პარტიზანების საშუალებით ინგრეოდა და ნადგურდებოდა ყველა ქარხანა, შენობა-ნაგებობა, რომელიც ოდნავ მაინც აღძრავდა ეჭვს, რომ ის პროექტი „ურანი”-სთვის შეიძლება ყოფილიყო გამოსადეგი. გარდა ამისა, აშშ ახორციელებდა ოპერაცია „ალსოს“-ს, რომელიც ითვალისწინებდა სპეცსამსახურების მეშვეობით ყოველგვარი ინფორმაციის მოძიებას გერმანული პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

ატომური ბომბი შექმნა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რათა დახმარებოდა ბრიტანეთს მეორე მსოფლიო ომში და ბრძოლა შეეჩერებინა. ჰიროსიმასა და ნაგასაკის დანგრევამ, მანჯურიის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის შეჭრამ გამოიწვია იაპონიის დანებება. ასეთი მხოლოდ ორი შემთხვევაა, როდესაც ომში გამოიყენეს ატომური იარაღი. იმ პერიოდში მხოლოდ შეერთებულ შტატებს ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ დაემზადებინა ატომური ბომბი, თუმცა, მალევე მისი შექმნა საბჭოთა კავშირმაც მოახერხა. ცივი ომის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატებსა და საბჭოთა კავშირს, ორივეს ჰქონდათ ატომური ბომბი, თუმცა მათი გამოყენება ვერცერთმა ვერ შეძლო.თუ ქვეყნები შეუტევდნენ ერთმანეთს ატომური იარაღით, ეს კი უდიდეს ზარალს გამოიწვევდა, განადგურდებოდა სამყაროს დიდი ნაწილი და ძალიან ბევრი ქვეყანა ვეღარც კი იარსებებდა. ეს ვითარება ცნობილი გახდებოდა, როგორც „ტერორის ბალანსი“, ან ეს ორი უძლიერესი ქვეყანა შეთანხმდებოდა და მათ შორის დამყარდებოდა მშვიდობა მესამე მსოფლიო ომამდე. რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური მმართველობის დასრულების შედეგ, ამერიკასა და რუსეთს შორის დაძაბულობა შერბილდა და ომის საშიშროებაც შემცირდა. აშშ.-სა და რუსეთის გარდა ატომური ბომბები აქვთ ასევე: ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჩინეთს, ისრაელს, ინდოეთს, პაკისტანსა და ჩრდილოეთ კორეას. ატომური ტექნოლოგიის განვითარება, წინსვლა და გამარტივება ძალიან დიდ საფრთხეს შეიცავს. შესაძლებელია, რომ ტერორისტულმა დაჯგუფებებმა ხელში ჩაიგდონ ბირთვული იარაღი და გამოიყენონ იგი მათ სასიკეთოთ.

საფრთხეები, რომელიც ბირთვულ შეიარაღებას თან ახლავს:

•შემთხვევითი ბირთვული ომი;

•შეცდომით და გაუთვლელი მოლოდინებით შექმნილი საფრთხე;

•პირველ შემთხვევაში, შემთხვევითი ბირთვული ომი იწყება მცდარი განგაშით, რომელიც შეიძლება სამხედრო იარაღის გამოყენებას ნიშნავდეს (მცდარად). მეორე შემთხვევაში კი, მცდარი მოლოდინები და გათვლები თამაშობს მნიშნველოვან როლს - მაგალითი კუბის კრიზისია (ეს ორი საფრთხე ძალიან მაღალი იყო ცივი ომის დროს).

•რეგიონული ომების დაწყება კიდევ ერთი საფრთხეა - მაგალითად ინდოეთ-პაკისტანს შორის.

•ტერორისტული დაჯგუფების მიერ ბირთვული იარაღის ხელში ჩაგდება და რომელიმე ქალაქის წინააღმდეგ გამოყენება. ამიტომ, მნიშვნელოვანია ხლეჩად მასალებზე კონტროლის გამკაცრება მთელს მსოფლიოში.

ცივი ომის შემდეგ მიძინებული შიშები ცოტა ხნის წინ რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის მუქარამ გამოაღვიძა. პუტინმა ბირთვული ძალების განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაყვანის განკარგულება გასცა, რაც, ზოგის აზრით, უკრაინაში მიმდინარე ომის ბირთვულ კონფლიქტში გადაზრდის წინაპირობას წარმოადგენს. აშშ-ში დაფუძნებული ორგანიზაცია Bulletin of the Atomic Scientists-ის ინფორმაციით, რუსეთს დაახლოებით 1500 ბირთვული ქობინი აქვს განლაგებული, 3000 კი რეზერვში ინახება. ეს ბირთვული ქობინები მიწოდების სხვადასხვა პლატფორმაზე, მათ შორის კლასიკურ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებზეა დამონტაჟებული. ასევე, არსებობს ეჭვი, რომ შესაძლოა, რუსეთი უფრო საშიშ პლატფორმასაც ფლობდეს, ვინაიდან ბოლო დროს სახელმწიფო ზებგერითი რაკეტების განვითარებაზე მუშაობდა. იარაღის ამ სისტემებს, განსაკუთრებით კი მათ, რომლებიც ICBM-ზე, იმავე საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებზეა დამონტაჟებული, აქვთ პოტენციალი, რამდენიმე წუთში მსოფლიოს ნებისმიერ წერტილამდე მიაღწიონ. ექსპერტების განცხადებით, პუტინის მიერ გადადგმული ნაბიჯი შექმნილ მძიმე ვითარებას კიდევ უფრო გაართულებს. უნდა ითქვას, რომ რუსეთის პრეზიდენტის ბრძანების პარალელურად NATO-მ უკვე გასცა მზადყოფნის განკარგულება „ყველა გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის“. უკრაინაში რუსეთის ჯარების შეჭრის, მათ მიერ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის დაკავებისა და ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად გაჩენილი ხანძრის შემდეგ, უკრაინა და მსოფლიო გამოუსწორებელი საფრთხის შესახებ ალაპარაკდა. ამ საფრთხეს ბირთვული ომი და რადიაციის გაჟონვა ჰქვია, რომელიც მთლიანად ევროპასაც კი დაფარავს.

გაეროს ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტომ შეშფოთება გამოთქვა უკრაინაში ატომური ელექტროსადგურების უსაფრთხოების გამო. უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ კი ევროპას გამოღვიძებისკენ მოუწოდა: „უკრაინა, ეს არის 15 ბირთვული ბლოკი და თუ აფეთქება მოხდება, ეს არის ყველას დასასრული, ევროპის დასასრული და ევროპის ევაკუაცია“, - თქვა მან 4 მარტის დილას გავრცელებულ ვიდეომიმართვაში. დღეისათვის ხანძარი ლოკალიზებულია და საფრთხე დროებით აღარ არსებობს, მაგრამ, ფაქტია, ამ მოვლენებმა ყველა დაგვაფიქრა, იმის შესახებ თუ რა უნდა ვიცოდეთ? როგორ უნდა მოვიქცეთ თუ რადიაციული დაბინძურების ზონაში მოვხვდით? რამდენად დროულად და ვისგან უნდა მივიღოთ ეს ინფორმაცია?

საქართველოში ბირთვულ და რადიაციულ სფეროს არაერთი სახელმწიფო უწყება და ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია აკონტროლებს. მათ შორის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ჯანდაცვის სამინისტრო, აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტი, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო და ა.შ. როგორც „რადიო თავისუფლებას“ სოფლის მეურნეობის სამინისტროში განუცხადეს, ამ ეტაპზე, ქვეყანაში რადიაციული დაბინძურების არანაირი საფრთხე არ არსებობს და უწყებები, მათ შორის, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო კომენტარის გაკეთების საჭიროებას ვერ ხედავენ: „არ არის საჭირო ზედმეტი პანიკა, ჩვენ ვმსჯელობთ ამაზე და მოგვიანებით გადავწყვეტთ, რა ტიპის კომუნიკაცია გვექნება, განცხადება გაკეთდება თუ სხვა რამ. ამ ეტაპზე, არანაირი საფრთხე არ არის“, - გვითხრეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრეს-სამსახურში.ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის დახმარებით, საქართველოს საზღვარი მთლიანად აღჭურვილია აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელი, მაგრამ ადვილად შესასრულებელია.

აი, როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე, თუკი (როგორც კი) რადიაციული დაბინძურების შესახებ ინფორმაციას მიიღებს:

•ერიდებით ღია სივრცეებს. თუკი ქუჩაში ხართ, შედიხართ დახურულ სივრცეში.

•ავტომობილით გადაადგილების შემთხვევაში, ხურავთ ფანჯრებს და თიშავთ კონდიცირების სისტემას, რათა შეიზღუდოს სალონში ჰაერის მიწოდება გარედან.

•არ დარჩეთ ავტომობილში, რადგან იქ ადვილად აღწევს რადიაციული დაბინძურება. ეცადეთ დროულად მიხვიდეთ სახლამდე ან უახლოეს შენობამდე.

•თუკი სახლებში ან სხვა შენობაში ხართ, იქვე დარჩით.

•საუკეთესოდ დაცული ადგილი არის სარდაფი ან შესაბამისი თავშესაფარი.

•მჭიდროდ ჩაკეტეთ და დალუქეთ ფანჯრები და კარი. ააკარით ე.წ. სკოჩი. ანალოგიურად დალუქეთ სავენტილაციო სისტემა.

/გაგრძელება გვ.7/

ბირთვული ომი და მსოფლიო საზოგადოება

/დასაწყისი გვ.6/

•მოშორდით კედლებს, ფანჯრებსა და კარს და ეცადეთ, რომ დარჩეთ შენობის შუა ნაწილში.

•საკვები შეინახეთ მჭიდროდ დახურულ კონტეინერებში ან მაცივარში.

•წყალი, წვენები ან სხვა სასმელები დალუქული კონტეინერებიდან დალიეთ.

•თუ ფიქრობთ, რომ კონტეინერი ან პაკეტი შეიძლება დაბინძურებული იყოს რადიოაქტიური მტვერით, მის გასახსნელად გამოიყენეთ ნესტიანი ქსოვილი. შემდეგ ეს ქსოვილი მოათავსეთ პოლიეთილენის პარკში ან სხვა კონტეინერში.

•გაითვალისწინეთ, რომ სახლში არსებული სხვა წყალი, მაგალითად, წყალი, რომელიც შეიძლება იყოს ცხელი წყლის გამაცხელებელ ავზში ან სხვა დახურულ სივრცეში, არ იქნება დაბინძურებული რადიოაქტიური მტვერით.

•რადიაციული დაბინძურების შემთხვევაში, ჩაიტარეთ დეკონტამინაცია (ლათ. დე გამოყოფა, გამოცალკევება, ცონტამინატიო - ჩირქის მოცხება) - ნიადაგის, ტანსაცმლის ან სხვა ობიექტების გაუსნებოვნება ანტისეპტიკური და ასეპტიკური მეთოდების საშუალებით)

•მიიღეთ შხაპი წყლის დიდი რაოდენობით.

•თუკი სხეულზე ჭრილობები გაქვთ, ისინი შხაპის მიღებამდე ჰერმეტულად დაიფარეთ. არ გამოიყენოთ ქისა, ღრუბელი ან ე.წ. სკრაბი

•თუ არ გაქვთ შხაპის მიღების საშუალება, მაშინ დიდი რაოდენობით წყლით დაიბანეთ ხელები, სახე და ტანსაცმლით დაუფარავი სხეულის ნაწილები. თუკი წყალი არ გაქვთ, მაშინ გაიწმინდეთ სხეული ხელსახოცით. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ყურებს, თვალებსა და ნესტოებს.

•დაბინძურებული ტანსაცმელი გაიხადეთ, ჩადეთ პოლიეთილენის პარკში ან სხვა კონტეინერში და გაიტანეთ შენობის გარეთ, ადამიანებისა და შინაური ცხოველებისგან მოშორებით.

•მუდმივად ადევნეთ თვალი საინფორმაციო საშუალებებს, რადგან მიიღოთ განახლებული ინფორმაცია შემდგომი რეკომენდაციების შესახებ.

რადიაციისგან და ბირთვული აფეთქებისას წარმოქმნილი საფრთხეების თავიდან აცილებაში გვეხმარება ALARA-ს პრინციპი. ALARA არის ინგლისური ფრაზის „As Low As Reasonably Achievable" აკრონიმი, რომელიც ასე ითარგმნება: „იმდენად დაბალი, რამდენადაც გონივრულადაა მისაღწევი". ამ პრინციპში კი იგულისხმება დრო, მანძილი და საფარი.

დრო: რაც ნაკლებ ხანს ვიძნებით მაღალ რადიაციულ ფონში, მით ნაკლებად დავსხივდებით და ჩვენს ორგანიზმს ნაკლები ზიანი მიადგება.

მანძილი: მანძილის გაზრდა მნიშვნელოვნად ამცირებს სხეულზე მოხვედრილ გამოსხივებას.

საფარი: ნებისმიერი წინაღობა, რომელიც არის გამოსხივების წყაროსა და დასხივების ობიექტს შორის, ამცირებს დასხივების დოზას. ამიტომ მნიშვნელოვანია მათი გამოყენება. განსაკუთრებით ეფექტიანად ამცირებს გამოსხივებას მძიმე ელემენტები, ისეთი, მაგალითად, როგორიცაა ტყვია.

ამჟამად დედამიწაზე 40 განვითარებულ ქვეყანაში დაახლოებით 450-ზე მეტი მოქმედი ატომური ელექტროსადგურია. საკმაოდ ბევრია მშენებარე და ექსპლუატაციიდან გამოყვანილი სადგურები. ჩერნობილისა (1986) და ფუკუშიმას (2011) ავარიებმა შელახა ატომური ელექტროსადგურების პრესტიჟი, მაგრამ სწორი ექსპლუატაციისა და წესების სრული დაცვისას მათი გარემოზე ზემოქმედება ნაკლებია ვიდრე ანალოგიური სიმძლავრის ჰიდრო, თბო და სხვა ტიპის ელექტროსადგურებისა. დღესდღეობით უკრაინაში 15 ბირთვული რეაქტორი მოქმედებს ოთხ ელექტროსადგურზე და გამოიმუშავებს ქვეყნის ელექტროენერგიის თითქმის ნახევარს. რადიაციის დეტექტორებით და რადიოქტიური ნივთიერების გამოვლენა ხდება ავტომატურად.

პ.ს ბოლო დროს აქტიურად ყღერდება საზოგადოების მხრიდან კალიუმის იოდიდის მომარაგების შესახებ, რომლის აუცილებლობაც სფეროს ექსპერტების მხრიდან არ დასტურდება. იოდის მიღება ნებისმიერი სახით უნდა მოხდეს მხოლოდ შესაბამისი სამედიცინო პერსონალისა და ექსპერტების რეკომენდაციის შემდგომ. ინდივიდუალურად მისმა მიღებამ შეიძლება ფატალური შედეგიც კი გამოიწვიოს. მის შესახებ ჩვენ შემდეგ ნომერში, სხვა სტატიაში მოგიყვებით.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ჟიული შარტავა – სამშობლოს უანგარო სიყვარულის მაგალითი

ჟიული შარტავა 1944 წლის 7 მარტს, სენაკში დაიბადა. სწავლობდა სენაკის მეორე საშუალო სკოლაში. 1966 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. 1973 წელს სწავლობდა ასპირანტურაში ტექნიკური კიბერნეტიკის სპეციალობით. ეკავა კომკავშირული და პარტიული თანამდებობები თბილისსა და რუსთავში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წევრი. 1989 წელს დაამთავრა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემია. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

1992 წელს ჟიული შარტავა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრად აირჩიეს, რუსთავის მაჟორიტარული ოლქიდან. აფხაზეთის ომის დროს, 1993 წლის ივნისში, შარტავა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა. 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, გენერალ-მაიორი შარტავა უშუალოდ ხელმძღვანელობდა მთავრობის სახლის დაცვას, რა დროსაც სეპარატისტისტებმა თანამებრძოლებთან ერთად ტყვედ აიყვანეს და დახვრიტეს.

აფხაზეთის ომიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ჟიული შარტავას გმირობის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იგონებდა: „მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ჩემს სახელზე საპატრიარქოში უცნობი ავტორის წერილი მოვიდა. ავტორმა არ იცოდა, რომ პიროვნება, ვის შესახებაც წერდა, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო. რუსულად დაწერილ წერილში ეწერა: „ჩვენ არ ვიცოდით, ვის ვესროდით, მაგრამ ერთი კია, გამაოცა ამ კაცის შეუდრეკელობამ, უშიშარობამ, სიმამაცემ, სამშობლოს ამგვარმა სიყვარულმა. მისი სახელი ასანთის კოლოფზე დავწერე, რათა იცოდეთ, როგორი გმირები ჰყავს საქართველოს. და, თუ საქართველოს თუნდაც ერთი ადამიანი ჰყავს ასეთი, იმ ქვეყანას გადაშენება არ უწერია". ეს ბარათი მომწერა კაცმა, რომელიც მტრის ბანაკში იბრძოდა და ალბათ, თვითონაც მონაწილეობდა შარტავასა და მისი მეგობრების წამებაში".

„წაუსვლელობა არ შეიძლება. სჯობს ამ ომს შევეწიროთ და მომავალი თაობა გადავარჩინოთ. ჩვენი თაობა ისედაც ვალშია მათ წინაშე"... „ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია. ისეთი ბიჭები იხოცებიან, რომ ძნელია ამის შემყურემ სიცოცხლეზე იფიქრო. რას იზამ, ბედისწერას ვერ გაექცევი." - ეს იმ სიტყვების ჩამონათვალია, რომელიც ჟიული შარტავას სიკვდილამდე დღეებით ადრე უთქვამს.

2004 წელს ჟიული შარტავას პირველს მიენიჭა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება. იგი ასევე დაჯილდოებულია, სიკვდილის შემდეგ, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. დაკრძალულია თბილისში, ვაკის პანთეონში.

ჟიული შარტავას დაბადების დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი გამოეხმაურა: „7 მარტს, ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, საქართველოს ეროვნული გმირის- ჟიული შარტავას დაბადების დღეა.

თავისი თაობის საუკეთესო წარმომადგენელი, ღირსებით, პატრიოტიზმითა და განათლებით გამორჩეული მამულიშვილი, იგი სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა ქართველებისა და აფხაზების ერთიანობისათვის.

„თუ საქართველოს თუნდაც ერთი ადამიანი ჰყავს ასეთი, ამ ქვეყანას გადაშენება არ უწერია " - მისი უწმინდესობა კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისადმი მიწერილი ეს სიტყვები ჟიული შარტავას გმირობის შემსწრე უცნობ აფხაზს ეკუთვნის.

ჟიული შარტავას შეუდრეკლობისა და სამშობლოსადმი თავდადების მაგალითი სახელმძღვანელოა თითოეული ჩვენგანისათვის, ყველა მომავალი თაობისათვის.

დიდება ჩვენს გმირებს!".



მონატრება

გაიოზ პოპიაშვილი

ჩვენო საყვარელო მამა, 14 მარტი შენი დაბადების დღეა. მთელი ცხოვრება კეთილი და სიტყვის კაცი იყავი. შენი გარდაცვალებით დიდი ტკივილი მოუტანე შენს შვილებს და შვილიშვილებს. ჩვენს გულში შენს სახელზე დანთებული სანთლები უქრობია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

შვილები: ნიაზი, თამარი.

სს „არწივის ხეობის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანამშრომლის

სიმონ ჯამასპიშვილის და დედის – ჟუჟუნა ჯამასპიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს-ხათუნას, შვილებს - ლილე და ანა ჯამასპიშვილებს, დებს-მარინა და ნაირა ჯამასპიშვილებს.

ხსოვნა

ვაჟა პოპიაშვილი

9 მარტს 40 დღე შესრულდა, რაც შენ ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლე. 40 დღის წინ ჩვენი ქალაქის საზოგადოებამ კიდევ ერთი ღირსეული, სანიმუშო მოქალაქე საუკეთესო მეგობარი, მამა და ბიძა დაკარგა.

ადამიანის გონება ვერ სწვდება სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს, ადამიანი არის ის, რაც მისგან რჩება გარდაცვალების შემდეგ-ადამიანთა მოგონებები, დატოვებული სითბო, საქმენი და ნაღვაწი. შენ ღირსეული ადგილი დაიკავე შენი მეგობრების და ახლობლების გულში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩვენი რაიონის წინაშე შენი ვალმოხდილი სული.

შენი ოჯახის წევრები,
შვილი, ძმა და ძმისშვილები

ქართველი ხალხი უკრაინელების დასახმარებლად...

პირველ მარტს, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში გაიმართა ტელემარათონი უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, რომელში ჩართვის შესაძლებლობა, SMS-ის საშუალებით, ან საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით, საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდა. თანხა წითელი ჯვრის მეშვეობით გადაერიცხება უშუალოდ ომის მიმდინარეობისას დაზარალებულებს, ვისაც განსაკუთრებით სჭირდება თანადგომა. საქველმოქმედო მუსიკალური მარათონი მსოფლიო მასშტაბით იმართება, მან სტარტი 27 თებერვალს ვარშავაში TVP-ს (პოლონეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი) ეთერში აიღო, სამშაბათს კი ის თბილისში გაგრძელდა.



ტელემარათონში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა, ცნობილმა მომღერლებმა. ტელემარათონის წამყვანმა, მუსიკოსმა დათუნა ალადაშვილმა ტელემაყურებლებს მოუწოდა, რომ ნებისმიერი ტელეფონიდან წითელი ჯვრის 1622 ნომერზე დაერეკათ (ზარის ღირებულება შეადგენდა 1 ლარს). აღსანიშნავია, რომ ტელემარათონმა პირდაპირ ეთერში 674 ათას ლარზე მეტი შეაგროვა. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თინათინ ბერძენიშვილის განცხადებით ეს თანხა მთლიანად გადაერიცხა უკრაინის წითელ ჯვარს. ტელემარათონის დროს მოქმედებდა ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც საქართველოს ყველა კუთხიდან შემოდიოდა ჩვენი თანამემამულეების წინადადებები, რომლებიც საკუთარ საცხოვრებელს, საკუთარი ავტომანქანებით მომსახურებას სთავაზობდნენ საქართველოში ჩარჩენილ უკრაინის მოქალაქეებს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენელმა თამარ ყორიაულმა კი განაცხადა, რომ საქართველოში ჩარჩენილი ყველა უკრაინელი ტურისტი დაბინავებულია სასტუმროებში და მათ კვებაზე, საყოფაცხოვრებო პირობებზე სახელმწიფო ზრუნავს.

პირადად მეც დავუკავშირდი დიდ სამეგობრო წრეს, ჩემს უამრავ რესპონდენტს და საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სფეროში გამოვლენილ ნომინანტებს. ჩემდა გასახარად ყველამ დარეკა მითითებულ ნომერზე. ამ სატელეფონო გადაძახილით ჩემი წვლილი შევიტანე უკრაინელი ხალხის დასახმარებლად. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ბრუტალურმა და სისხლისმღვრელმა ომმა, განსაკუთრებული გავლენა იქონია უკრაინულ ოჯახებზე, ისინი სახლ-კარისა და ელემენტარული საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთების გარეშე დარჩნენ.

ნანა ჭიჭინაძე

ნობელის პრემიის ლაურეატი გერმანელი მწერალი ქალი ჰერტა მიულერი პუტინს ჰიტლერს ადარებს...

ნობელის პრემიის ლაურეატმა, გერმანელმა მწერალმა ქალმა ჰერტა მიულერმა, რომელიც რუმინეთში გაიზარდა, გერმანულ გაზეთ Die Welt—თან ინტერვიუში პუტინი ჰიტლერს შეადარა და შეაფას როგორც უკრაინის კონფლიქტი, ასევე ბორის ნემცოვის მკვლელობაც.

„ფაშისტული ლეგიონის — „კონდორის“ ჯარისკაცებსაც ესპანეთში აგზავნიდნენ მეამბოხეებად, უნიფორმაზე ყოველგვარი ამოსაცნობი ნიშნების გარეშე, როცა ისინი ესპანურ გერნიკას ბომბავდნენ;“ - მიულერის ინტერვიუს ციტირებას ახდენს საიტი InoPressa.

„მთლიანობაში, მინსკის მოლაპარაკებების მიუხედავად, არ მჯერა, რომ პუტინი ომს შეწყვეტს უკრაინაში — განაცხადა მწერალმა ქალმა — მას სჭირდება მარიუპოლი და სახმელეთო კორიდორი ყირიმთან მისასვლელად. შემდეგ კი პრედნესტროვიაშიც გადმოსხდებიან. უკრაინაში პუტინი არ შეჩერდება. ამ სახელმწიფოს ნელ-ნელა ჩამოშლა მისთვის გადაწყვეტილი საქმეა, ეს უკვე მზა გეგმაა, რომელიც მისი საწერი მაგიდის უჯრაში დევს და არავითარი სამშვიდობო მოლაპარაკება და დიპლომატიური დიალოგები ამ სიტუაციას არ შეცვლის. ამ მიზანს იგი აღწევს ისეთი მეთოდებით, როგორიცაა „გაზის ომი“, ინფრასტრუქტურის მოსპობა, ათასობით უკრაინელის განადგურება; ყველაფერი ეს სასჯელია იმისთვის, რომ უკრაინამ დასავლეთის მიმართულებით გახედვა გაბედა. პუტინი უკრაინას ყველაფერ იმისთვის სჯის, რაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 1989 წლიდან ხდება“ - დარწმუნებულია ნობელის პრემიის ლაურეატი.

„გამომდინარე ოფიციალური პროპაგანდის სიმდაბლიდან, რომელიც „მინსკი-2“-ის შემდეგაც არ შეცვლილა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პუტინი პოზიციის შეცვლას არ გეგმავს. ასე მაგალითად: რუსი სამხედროები, რომლებიც უკრაინაში იხოცებიან, ვითომ საერთოდაც არ არსებულან და მათმა ახლობლებმა არ უნდა გაუზიარონ თავიანთი უბედურება ფართო საზოგადოებას, რადგან ხელისუფლება ჩქმალავს და უარყოფს სამხედრო მოსამსახურეთა სიკვდილს. ეს კი არაადამიანობაა!“-აღნიშნავს მიულერი;

მისი აზრით „პუტინი მიაღწევს თავისას, რადგან დასავლეთი უძლურია და ამას თავადაც ხშირად ამბობს. რა თქმა უნდა, ამ აგრესიის სამხედრო ჩარევით შეჩერება არ შეიძლება, მაგრამ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკიც არაა მიზანშეწონილი, “-ამტკიცებს მწერალი ქალი. „ აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობამ, რომელიც დიდხანს იმყოფებოდა საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ, იცის, რომ პუტინის ყაიდის დიქტატორებთან მხოლოდ ძალის ენით თუ ილაპარაკებ, ხოლო დიალოგის რეჟიმს ისინი მეორე მხარის სისუსტედ თვლიან. ამიტომ ამ შემთხვევაში სანქციები ერთადერთი ინსტრუმენტია, რომელიც გამოხატავს დასავლეთის ნებას და მის მისწრაფებას დისტანცირებისაკენ. რუსეთის ხელმძღვანელობას მუდმივად უნდა ესმოდეს ასეთი სანქციების შესაძლო შედეგები და არა ის, რომ დასავლეთს ერთი სული აქვს, როდის აღადგენს რუსეთთან ძველებურ, ჯანსაღ, ურთიერთმომგებიან ურთიერთობას, რადგან წარსული უკვე ვეღარ დაბრუნდება!“-ამბობს ჰერტა მიულერი.

„დასავლეთის მთავარ ამოცანას დღესდღეობით წარმოადგენს ის, რომ პუტინს არ მისცენ საშუალება, უკრაინა რუსეთის ვასალ სახელმწიფოდ აქციოს. ევროსაბჭოსა და უკრაინას შორის აუცილებელია, რომ დამყარდეს მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები“. ჰერტა მიულერმა ბორის ნემცოვის მკვლელობაზეც ისაუბრა.

„ის ფაქტი, რომ პუტინი თავად ადევნებს თვალყურს გამოძიების მიმდინარეობას, ასევე ისიც, რომ მან თავისი „ძმაკაცი“ დანიშნა ამ მკვლელობის გამომძიებლად, იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთში არ არსებობს დამოუკიდებელი იუსტიცია და ხელისუფლება მკვლელობის ნამდვილ მოტივს აუცილებლად მიჩქმალავს; პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ლიკვიდაცია რუსული სპეცსამსახურების ნაწილია, ისე როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. არც ერთი ასეთი მკვლელობა -არც ნატალია ესტემიროვას, არც ალექსანდრე ლიტვინენკოს, არც ვითომდა თვითმკვლელი ბერეზოვსკისა - არა და არ გაიხსნა დღემდე; და პუტინს რომც არ გაეცა ბრძანება, ეს მკვლელობა მაინც დარჩება მისი შეშლილი ნაციონალისტური პროპაგანდის რეზულტატად, რომელიც უკრაინის ომის დაწყებიდან დღემდე უფრო და უფრო უმსგავსო ხდება“— ვარაუდობს ჰერტა მიულერი.

წყარო InoPressa
(თარგმნა - კ. მალანიამ)

15 ქვეყანა,საიდანაც საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტორი შემოვიდა

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოში 151 870 უცხოური ვიზიტი განხორციელდა, რაც 2021 წლის იმავე თვის მონაცემს 274%-ით აღემატება, ხოლო 2020 წლის მაჩვენებელს 60,7%-ით ჩამორჩება.

უწყების ინფორმაციით, თებერვალში ყველაზე მეტი ვიზიტორი თურქეთიდან, რუსეთიდან და სომხეთიდან შემოვიდა.

ასეთია იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებმაც თებერვალში საქართველოში ყველაზე მეტი უცხოური ვიზიტი განახორციელეს:

*თურქეთი – 29 606 ვიზიტი;
*რუსეთი – 20 876 ვიზიტი;
*სომხეთი – 17 366 ვიზიტი;
*საქართველო (არარეზიდენტი) – 15 856 ვიზიტი;
*ისრაელი – 8 779 ვიზიტი;
*უკრაინა – 8 601 ვიზიტი;
*აზერბაიჯანი – 7 562 ვიზიტი;
*ყაზახეთი – 4 121 ვიზიტი;
*გელარუსი – 3 446 ვიზიტი;
*ირანი – 3 272 ვიზიტი;
*საუდის არაბეთი – 2 728 ვიზიტი;
*უზბეკეთი – 2 723 ვიზიტი;
*პოლონეთი – 2 080 ვიზიტი;
*ინდოეთი – 2 017 ვიზიტი;
*ფილიპინები – 1 716 ვიზიტი.



ადმინისტრაციის ინფორმაციით, თებერვალში განსაკუთრებით გაიზარდა ტურისტული ვიზიტების რაოდენობა. 2022 წლის მეორე თვეში საქართველოში 137 148 საერთაშორისო ტურისტი ვიზიტი შედგა, აღდგენა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 55,4%-ია, ხოლო 2021 წლის თებერვალთან შედარებით ზრდამ 282% შეადგინა.

რაც შეეხება ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს, 2022 წლის თებერვალში საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველომ 105 218 484 აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის მაჩვენებლის 62,2%-ით აღდგენაა. 2021 წლის თებერვალთან შედარებით საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლები 91 568 460 (670,8%) აშშ დოლარით გაიზარდა.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 14.03	სამშაბათი 15.03	ოთხშაბათი 16.03	ხუთშაბათი 17.03	პარასკევი 18.03	შაბათი 19.03	კვირა 20.03
დღე	3 °	2°	2°	2°	2°	2°	4°
ღამე	–4°	–5°	–5 °	–5°	-5 °	-5 °	-4 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 02-46-25 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.